ლ ო გ ი კ ა

მესამე კლასი

ამოცანა 1

თეამ იყიდა 19 ბუშტი, ნიკამ —— 15–ით მეტი. რამდენი ბუშტი იყიდა ნიკამ? რამდენი ბუშტი იყიდეს თეამ და ნიკამ ერთად?

ამოცანა 2

თაროზე დევს რამდენიმე ბურთი, რომლებიც დანომრილია თანმიმდევრულად. წითელ ბურთს აწერია რიცხვი 78. რა რიცხვი აწერია მის წინ მდებარე ბურთს?

ამოცანა 3

კატოს სულ 85 თეთრი აქვს. საფულეში მას აქვს 25 თეთრი. რამდენი თეთრი აქვს კატოს ჯიბეში?

ამოცანა 4

გიორგის და მარის დედები დები არიან. ერთმანეთის რა ნათესავები არიან გიორგი და მარი?

სავარჯიშო:

მოცემულია რიცხვები: 30; 85; 121.

დაშალეთ ეს რიცხვები შესაკრებთა ჯამის სახით, ორი „+“–ის გამოყენებით. თითოეულ რიცხვზე შეადგინეთ 4–4 მაგალითი.

მაგ: 36 = 12+ 20+ 4;